წლიწადი 1-ლი  გაზ. ფასი 3 შაური.  ტელეფონი № 76.  კვირა ოქტომბრის 22—(4) 1917

# ჩვენი ქვეყანა

**გაზეთის ფასი:**
თვიურად . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
**განცხადების ფასი:**
პირველ გვერდზე პეტიტის ღირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი-ორათ
სამგლოვიარო განცხადებანი დაიბეჭდება თითოეული არა
უმეტეს სამი გამოცხადებისა, ნაშუადღევის 2 საათ.
6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 156 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 156

დამწუხრებულნი მშობლები: **ივანე ანდრიას ძე ჯანელიძე** და მეუღლე მისი **ნიფიდორა ნიკოლოზის ასული ჯანელიძისა შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას 22 ოქტომბერს საფიჩხიის ეკლესიაზე დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველთა დაუვიწყარის შვილის, მეორეთ ძვირფასი დისა

**ეკატერინე (კატუშა) ჯანელიძის ასულის**

სულის მოსახსენებლათ

---

პეტრე გარსევანის ძე სვანაძე, შვილები მისი: ლევანი და სიმონი, რძალი ნინო, შვილიშვილები: იულია, თამარა, სერაფიმა და მარუსია გულითადის მწუხარებით გაუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას, მეორენი დედისას, მესამე დედამთილისას, მეოთხენი ბებიისას,

**ედუკი ბიჭიას ასულის სვანაძისას,**

უმორჩილესად გთხოვთ რათა პატივი სცეთ და მობრძანდეთ მიცვალებულის გამოსვენებაზე ამა ოქტომბრის 22-ს დღით კვირას ნაშუადღევის 3 საათზე, ფერმის ქუჩაზე თავის საკუთარ სახლში

---

დამწუხრებულნი დედა ელისაბედ დიმიტრის ასული მესხისა, შვილები: მარიამი, ელისაბედი, ალექსანდრე, ვასილი, დიმიტრი, არჩილი და ლევანი, რძლები: ელენე და პარასკევა, სიძე ლავრენტი ქიქოძე და შვილის-შვილები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა მათი საყვარელი და დაუვიწყარ დედის

**ოლღა ვასილის ასულის ლამბაშიძის**

გადახდილ იქნება, სამშაბათს 24 ოქტომბერს, გოქოურას სასაფლაოზე.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

---

## ქუთაისის მოქალაქეთა საყურადღებოთ.

**დამფუძნებელი კრების ქუთაისის საქალაქო საარჩევნო კომისია**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ: დამფუძნებელი კრების საარჩევნო სიების გამოსაქვეყნებელ უკანასკნელ ვადათ დანიშნულია მდგომარე 1917 წლის ოქტომბრის 20 რიცხვი; 21 ოქტომბრიდან 27-მდი საარჩევნო კომისია იღებს განცხადებებს სიებში აღმოჩენილ შეცდომების თუ გამოტოვების შესახებ; 28 ოქტომბრიდან 30-მდი კომისია არჩევს შემოსულ საჩივრებს; 31 ოქტომბრიდან 3-ნოემბრამდი მოქალაქეთ უფლება ეძლევათ პროტესტი განაცხადონ ან განასაჩივრონ კომისიის დადგენილებანი ოლქის სასამართლოში; 4 ნოემბრიდან 6-ადი ოლქის სასამართლო არჩევს შესულ საჩივრებს და 7 ნოემბრიდან 11-მდი ამომრჩევლებს შეუძლიათ კვლავ გადაათვალიერონ საარჩევნო სიები.

---

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

---

# არ დაივიწყოთ

გამოძიება, შეტანილი ხართ თუ არა დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში. თუ ეს ამ თვის 27-დის არ გამოიძიეთ თქენ ხმას დაჰკარგავთ და არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებთ. ამით დამფუძნებელ კრებაზე თქვენი ხმით გავლენას ვეღარ მოახდენთ. სიების შესწორება 27 თავდება.

---

ელექტრო „**რადიუმი**“ თეატრი.

19 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება სამხედრო მიმოხილვა

## „გერმანეთის შვილნი“

დრამა 3 ნაწ, საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

1 ნაწ. **გერმანელთა ორბნი.** 2 ნაწ. **მწვავე სხივების საიდუმლოება.** 3 ნაწ. **ჭეშმარიტების გამარჯვება.**

**ჯ ე რ ი  ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს** კომიკური.

**ა ნ ო ნ ს ი:** 23, 24 და 25 ოქტომბერს ნაჩვენები იქნება

## დატყვევებული ქალაქი გენტი

**შ ა ვ ი  ა რ ქ ი დ ე ა** დრამა 3 ნაწილად კეტლინ ვილიმსის მონაწ.

1 ნაწ. გარნიზონის კერპი. 2 ნაწ. მხეცთა შორის. 3 ნაწ. მხეცნი და ადამიანები.

**ს ხ ვ ი ს  ლ ხ ი ნ შ ი  ქ ე ი ფ ი** კომიკური.

---

ელექტრო „**ამპირი**“ თეატრი.

19 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება სურათი

## „სიყვარულის დუელი“

დრამა 5 ნაწ. გიორგოვის, რუნიჩის და ხუდელის მონაწილეობით.

**ა ნ ო ნ ს ი:** 23, 24 და 25 ოქტომბერს ნაჩვენები იქნება

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

## ს მ ვ დ ა

დრამა 4 ნაწილად, ელენა მაეოვისა და ტულიო კარმინატის მონაწილეობით.

1 ნაწ. ცისკარი (რიჟრაჟი). 2 ნაწ. შუადღე. 3 ნაწ. მწუხრი. 4 ნაწ. ღამის წყვდიადი.

**ჯ ე რ ი  კ ო მ ი კ უ რ ი ს  მ ა გ ი ე რ** კომიკური.

---

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია **ს ა პ ნ ი ს  სოდა** და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება „**ქირონინი**“, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები, ფასები ზომიერია.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წყალ გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება საუბნო კომიტეტის ბინაზე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი.** ახლო მომავალში იქვე დაარსდება სამკითხველო პარტიის წევრთათვის. იქვე შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

---

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

---

**ე ქ ი მ ი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

---

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

---

## სურსათის კითხვა.

თბილისში დაიწყო კავკასიის საერთო სასურსათო თათბირი: თათბირი ყოველ მხრივ შეეხო სურსათის კრიზისს. ორატორებმა ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ტრანსპორტის ჩამოქვეითება და ბოლოს დრ. მმართველობის! განკარგულებით რკინის გზის მიმოსვლის შემცირება, რაც ლაშქრის გადაყვან გადმოყვანით, სათბობ მასალის კრიზისით და გაფიცვებით არის გამოწვეული უდიდეს სიძნელესა ჰქმნის სურსათის საქმის მოსაწესრიგებლადო. თათბირი იმ რადიკალ გზას დაადგა, რომ ამიერ კავკასიაში საპიროდ დაინახა პირნახულის მონოპოლიის შემოღება.

პურის მონოპოლია ვერ გვანუგეშებს ჩვენ.

ამიერ კავკასიაში რაც დრო გადის თან და თან მრავლდება მცხოვრებთა რიცხვი. მოდის ჯარი და ოსმალეთის გამოქცეულებიც განაგრძობენ ამიერ კავკასიის საზღვრებში თავის შეფარებას.

მთელ კავკასიაში 11 მილიონი მცხოვრები, რომ ვიანგარიშოთ, აქედან 10 მილიონზე მეტი ნაყიდი პურით სცხოვრობს. დღევანდელი მეურნეობა დაცემულია და ინტენსიურად არ მიმდინარეობს. წარსულ წლებში თუ აწვდიდა ჩრდილო კავკასია ამიერ კავკასიას სურსათს წელს ამას ადგილი აღარა აქვს. თვითონ ამიერ კავკასიას კი საკუთარის პირნახულით არსებობა არ შეუძლია რაგინდ სურსათის სასტიკი განაწილება არ იქმნეს შემოღებული და საბარათო სისტემა არ იქნეს დაწესებული.

ამიტომ ამიერ კავკასია ქრონიკულ სიმშილს ვერ ასცდება; ამას კარგათ გრძნობენ, თბილისში და გამოსავალსაც ვერ ნახულობენ. ასეთი მდგომარეობა მოგველის მთელ საქართველოში.

უკვე გამოირკვა, თუ რას გვპირდება წლევანდელი მოსავალი. სიმინდის მოსავალი დასავლეთ საქართველოში, როგორც ამას სავუბერნიო სასურსათო კომიტეტს სხვა და სხვა ადგილებიდან ატყობინებენ, საშუალოზე ნაკლები ყოფილა. სიმინდის ფქვილს ახლა, შემოდგომაზე 20 მანეთად აფასებენ ფუთს.

ქალაქს და სოფელს უკვე დაეტყო დამშევის საშინელება. საცხობების წინ შუაღამიდან სდგას ხალხი და უცდის ერთი გირვანქა პურის მიღებას.

მოსწავლე ახალგაზრდობა მეტად უნუგეშო ყოფაშია, 10 საათამდის ხშირად პურს ვერ ღებულობს 10 საათზე კი მიდის სკოლაში მიდის და რაღა უნდა ისწავლოს მან? ასეთ რთულ პირობებში, ეჭვს გარეშეა, რაიმე ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა მათი სწავლაც უნაყოფო არ იქნეს და მათი ჯანმრთელობაც სავსებით იქნას დაცული.

ამიტომ ზედ მეტი არ იქნებოდა ჩვენის ფიქრით, თუ სკოლების პედაგოგიური საბჭოც, მშობელთა კომიტეტებიც და სასურსათო დაწესებულებანიც ამის შესახებ შეთანხმებულ დადგენილებას გამოიტანდნენ და როგორმე მოაგვარებდნენ მოსწავლე ახალგაზრდათა გაჭირვებულ მდგომარეობას.

გარდა ამისა ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სხვა და სხვა საკვებ სუროგატებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოდის. ასეთია კარტოფილი, ჩურჩხელა, გამხმარი ხილეულობა და თხილი. წელს დასავლეთ საქართველოდან მილიონ ფუთობით გაზიდეს თხილი რის შესახებაც უტყუარ ცნობებს აზოვდონის ბანკი იძლევა,

ეს გამოუსწორებელი შეცდომა არის. რათ შეეხარბათ უცხოელებს ფული, ახლა ჩვენს ხალხშიც დიდძალია ქაღალდის ფული, რომელიმე ამხანაგობას, ან თუნდ ადგილობრივ კერძო პირთ შეეძლოთ ამ თხილის შეძენა, რომელსაც აქაური მცხოვრებნი სათანადოთ გამოიყენებდნენ სიმშილის დღეებში. მაგრამ ჩვენ ყოველთვის მაშინ ვიწყებთ შეცდომაზე ლაპარაკს, როდესაც ურემი უკვე გადაბრუნებულია.

პურის ხმარება საერთოდ უნდა შემცირდეს, რისთვისაც საჭიროა ხალხი მიეჩვიოს სხვა და სხვა სუროგატებით კვებას ასეთია მაგალითად კვახი, ლობიო და სხვა, რისთვისაც აუცილებელია, რომ ხალხს აქ ხელმძღვანელობა გაეწიოს.

ჩვენ მივმართავთ ქართველ აგრონომებს სასწრაფოთ მიაწოდონ ხალხს ცნობები იმის შესახებ თუ რის დათესვა შეიძლება ამ დროში. აგრონომებმა ცნობები უნდა გამოაქვეყნონ ადგილობრივ ქართულ პრესაში და ან ცალკე მოწოდება ფურცლები გამოსცენ.

**ი. იმერელი.**

## დამფუძნებელი კრება და ქართველობა.

დღე დღეს მისდევს, თვე თვეს დამფუძნებელი კრება დღითი დღე გვიახლოვდება.

რა არის დამფუძნებელი კრება?

იგი დიდი იმედია აფორიაქებულ რუსეთისათვის. მან უნდა დაამთავროს რუსეთის დიდი რევოლუცია, მან უნდა ჩააყენოს კალაპოტში კალაპოტიდან ამოვარდნილი, აბობოქრებული რუსეთის ცხოვრება, მან უნდა შეიმუშავოს ფორმა განახლებულ რუსეთის მართვა-გამგეობისა. ერთი სიტყვით დამფუძნებელი კრება ერთად ერთი საშუალებაა, რომელიც სამარის პირზე მისულ რუსეთის სახალმწიფოს გამოაბრუნებს, სულს ჩაუდგამს და გაამაგრებს.

ახლა ვიკითხოთ, რა არის კერძოდ ჩვენთვის საქართველოსთვის დამფუძნებელი კრება და ან რა უნდა მოგვცეს ჩვენ მან?

ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს ის, რაც რუსეთს დააკმაყოფილებს, ჩვენ როგორც სხვა ერს, როგორც ქართველებს გვაქვს სხვა იარაც, რომელსაც დამფუძნებელი კრების მიერ რუსეთისადმი გამოწერილ რეცეპტი ვერ განკურნავს.

ქართველებს რუსეთთან საერთო ტკივილს გარდა სხვა უფრო მძიმე სატკივარიცა გვაქვს, რომელიც თანდათან გვისპობს სიცოცხლეს და დედამიწის პირიდან აღგვასაც გვიქადის.

მაშ, რას უნდა მოველოდეთ ჩვენ ქართველები კერძოთ დამფუძნებელ კრებისაგან?

117 წლის სენიდან განკურნებას. 117 წელია, რაც ბოროტ ხელიდან მახვილ-დაცემული სასიკვდილო ლოგინზედა ვწევართ. 117 წელია მას შემდეგ, რაც რუსეთის გათახსირებულმა „ჟანდარმერიამ" ვერაგულათ სული შეუხუთა ჩვენს ტურფა სამშობლო-საქართველოს, 117 წელია მას შემდეგ, რაც მონობის მძიმე და თან სამარცხვინო უღელს ვატარებთ. როდემდის?! ვეკითხები ჩემს თავს. დამფუძნებელ კრებამდის-არის პასუხი.

ჩვენი წარმომადგენლები პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე ერთი მეორეს სტაცებდენ იმ აზრს, რომ საქართველო დამფუძნებელ კრებას უცდის, რომ ის იქ მოითხოვს თავის გათელილ უფლებების აღდგენასო.

საქართველოს ჯერ არ გაუბრძოლია წართმეულ თავისუფლების მოსაპოებლათ (შეიძლება ეს შეცდომაცაა ჩვენი), იგი მშვიდობიანად უცდის დამფუძნებელ კრებას მაგრამ თუ დამფუძნებელ კრებამ ანგარიში არ გაუწია ქართველ ხალხის კანონიერ მოთხოვნილებას და არ დააკმაყოფილა იგი, ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა აივსება, მეტს ველარ აიტანს მისი ამაყი სული და იგი ეცდება ბრძოლით მოიპოვოს საქართველოს თავისუფლება.

სხვა რუსეთის არა რუსმა ერებმა, როგორც მაგალითად ფინეთმა და უკრაინამ, დღემდე გაიბრძოლეს თავისუფლების მოსაპოებლათ. ჩვენ ქართველებს კი აწი მოგველის, ბრძოლა თუ დამფუძნებელმა კრებამ არ დაკმაყოფილა ჩვენი ეროვნულ მისწრაფებანი.

აი როგორ დიდ-მნიშვნელოვანია ჩვენთვის ქართველებისათვის დამფუძნებელი კრება. მას ჩვენთვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დედა რუსეთსათავის. მან უნდა გადასწყვიტოს დიდი ისტორიის მქონე ქართველ ერის ყოფნა-არ ყოფნის კითხვა.

მაშ ყურადღებით მოვეპყრათ დამფუძნებელ კრებას. ვეცადოთ ისე მოვიქცეთ, რომ ჩვენი იმედები დამფუძნებელ კრებაზედ არ გაგვიცრუვდეს.

უკვე დაიწყო საარჩევნო სიების შედგენა. მე იმედი მქონდა, ინტერპარტიული ეროვნული საბჭო შეადგენდა საქართველოში მომქმედ პარტიებს, შეიმუშავებდა ერთ საერთო პლატფორმას, ბოლოს მოუღებდა პარტიების ცალცალკე გამოსვლას და დამფუძნებელ კრებაზე გავიგონებდით მთელი ქართველი ხალხის შეერთებულ ხმას, მაგრამ საუბედუროთ, ეს ასე არ მოხდა. დღესაც ცალცალკე საარჩევნო სიებით გამოდიან ჩვენი პარტიები. სჩანს ეროვნულმა საბჭომ ვერ შეათანხმა საქართველოში მომქმედი პარტიები ისევე, როგორც რუსეთის კოალიციამ ვერ შექმნა რუსეთის ხალხს შორის ერთსულოვნება და თანამშრომლობა.

საქალაქო არჩევნები მწარე გაკვეთილი იყო ჩვენთვის. პარტიებათ დაყოფილი ქართველებისათვის. მაშინ როცა ეროვნული ბრძოლა სწარმოებდა არჩევნებში, ჩვენ, ერთი ერის შვილებმა, პარტიული ბრძოლა გავაჩაღეთ. ამითი ჩვენ გამოვიჩინეთ ჩვენი ეროვნული შეგნების სრული სისუსტე. შედეგი ის იყო, რომ ჩვენი დედა-ქალაქი თბილისის ბატონ-პატრონნი უფრო სომხები არიან, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი იქ გაცილებით ჩვენზედ ნაკლები არიან. ასევე მოხდა ქ. ბათომშიც. იქაც უცხოელებმა გაიმარჯვეს. საჭიროა, ის შეცდომები კვლავ აღარ გავიმეოროთ.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ?

ყოველთვის ცხადია რომ საქართველოს უფლებებს დამფუძნებელ კრებაზედ ქართველები უფრო დაიცავენ. მართალი უნდა ითქვას, ყველა ქართველიც ვერ დაიცავს მას. ვერ დაიცავს ის ქართველი, რომელიც პირადი ბედნიერების და პატივისცემის დამსახურებას სცდილობდა და სცდილობს დღესაც. ქართველი ხალხის უფლებებს დაიცავს ის ქართველი, რომელსაც დღეს კი არ ანთებია გულში სამშობლოს სიყვარული, არამედ მის გულში თავიდან ღვივოდა ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა.

მის გულში უფრო დიდი ნაკვერჩხალი ღვივის, მას უფრო მეტი გამბედაობაც შესწევს ამ საქმეში. აი ასეთი პირები აანთებენ კოცონს დამფუძნებელ კრებაზე და ღირსეულად დახვდებიან მათ, ვინც გაბედავს და გამოილაშქრებს საქართველოს წინააღმდეგ.

ჩვენც მოვალენი ვართ, ასეთი პირები გავგზავნოთ.

დავანებოთ თავი პარტიულ კინკლაობას, დიდ მიზნის სამსახურად მოვიკრიბოთ ჩვენი ძალები და მარად გვახსოვდეს, რომ ჟინიანობას, გაუტანლობას, მოუფიქრებლობას არ ვანაცვალოთ ჩვენი მისწრაფების დიდი საგანი საქართველოს თავისუფლება.

ელ. პატარიძე.

## ლაშქრის დემობილიზაცია.

დრ. მმართველობის გადაწყვეტილებით ამ ჟამათ სწარმოებს ხანში შესულ ჯარის-კაცების დათხოვნა. ხმა გავრცელდა ლაშქრის ნაწილობრივ დემობილიზაციას თითქოს ომის დასრულებასთან ჰქონდეს რაიმე კავშირი. ამის საპასუხოთ და განსამარტებლათ ჩვენ მოვიყვანთ ერთ სამხედრო პირის სიტყვებს, რომელსაც დამოკიდებულება აქვს ჯარის დემობილიზაციასთან, სამხედრო პირმა შემდეგი გადვიცხადა: დრ. მმართველობაში და საბჭოებშიც დაიბადა აზრი რუსეთის ბრძოლის განახლებისა და აღდგენისა. ფიცხელ გარეგნულ დესპოტიურ დისციპლინის შემოღებით ამ მიზნის მიღწევა არ შეიძლებოდა.

პოლიტიკური და კლასობრივი ქადაგი სხვებით ჰლუპავდა ჯარს. ერთ კერძო თათბირზე კერენსკიმ სთქვა, ჯარი რევოლუციონური და დემოკრატიული მე ვერ წარმომიდგენია, ჯარი უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა შეიარაღებული, სასტიკი დისციპლინის და წესრიგის მატარებელი. მთავრობა ჯარის გაპობრუნებას შემდეგის გზით შეუდგა: ლაშქრიდან გაუშვებენ ძველ ინვალიდებს, დაჭრილებს და ყველა ოდნავ ავადმყოფთ. დრ. მმართველობას სწადს ჯარი შესდგებოდეს მხოლოთ ახალ გაზდობისგან. ამისათვის შედგენილია პროექტი და განზრახულია მთელი რეორგანიზაცია ჯარისა. მთავრობის განკარგულებით დაიკეტა პრაპორშჩიკების სკოლები. ესეც იმას მოასწავებს, რომ მთავრობას უნდა ახალ სისტემის სკოლების მოწყობა. აწინდელი ნაწილობრივ დემობილიზაციას, რომ ომის გათავებასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, მაშინ უნდა უარვყოთ ის საერთო წესი (ვენის კონგრესის მიერ შემუშავებული) რომლის ძალით. ყოველი ომის შეწყვეტის დროს მებრძოლმა მხარეებმა თავის სამხედრო ძალა გამზადებული უნდა იყოლიონ, რადგან ამ დროს ჯარის რიცხოვნებას და მის ხარისხს განსაკუთრებულის მუხლით იხილავენ. გაიხსენეთ რას ამბობს რომაული ანდაზა: „თუ მშვიდობიანობა გინდა მზათ იყავ ომისთვისო". სანამ საზავო მოლაპარაკებას ფაქტიური სახე არ მიუღია, მანამდის არც ერთ მებრძოლ ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია ჯარის დემობილიზაციის დაწყება. რუსის ლაშქარი რომ იმ ანარქიულ სახით იქმნეს წარდგენილი სამშვიდობო კონგრესზე, ამ შემთხვევაში რუსეთს ყველა სასაცილოთ აიგდებს და მას დამხობილ სახელმწიფოთ ჩასთვლის. ამიტომ დრ. მმართველობა სცდილობს მომავალი განსაცდელი თავიდან აიშოროს და ჯარში სისტემა შეიტანოს. „სულ სხვა კითხვა არის, რამდენათ სასურველათ განხორციელდება ეს მიზანი" დაასკვნა სამხედრო პირმა.

დღეს ყოველგვარ შესაძლებლობის წინაშე ვსდგევართ და ამასთანავე ყველაფერი მოულოდნელათ და საიდუმლოთ ხდება. თუ სამხედრო პირის ნალაპარაკევი რეალათ განხორციელდა, იმ შემთხვევაში მთავრობის ეს ზომა მიზან-შეწონილათ უნდა ჩაითვალოს, ბევრი ხანში შესული, მიწასთან შეზრდილი მშრომელი დაუბრუნდება სოფელს და რის გამოც სიმშილის საფრთხე შესუსტდება. ჩვენ ვიცით ამ ხანათ ბევრი მუშა ჯარის-კაცი უსაქმოთ დადის, ამისა გამო ზოგი ვაჭრობას ეწევა, ზოგი უკმაყოფილო ელემენტათ იქცა და სხვა. მათი სამუშაოთ შინ დაბრუნება ძლიერ საჭირო არის. ჯარის ნაწილობრივ დემობილიზაციის წყალობით ბევრი ქართველი ჯარის-კაცი დაბრუნდება შინ და შეუდგება სასოფლო მუშაობას, რაც დიდათ სასიხარულოა.

სამხედრო პირმა სხვათა შორის ისიც სთქვა, რომ განზრახულია ზოგიერთ ჯარის ნაწილების (პოლკების) სრულიად გაუქმება. ქალაქებში შეიძლება ჯარი სრულიად არ იქმნეს, ქალაქის დაცვა დაევალება მილიციასო.

სერ.

## რუსული პრესა.

სოციალისტურათ მოაზროვნე ორგანო „დენი" მეუმრავლესეთა საყურადღებოთ შემდეგს სწერს:

„თუ რესპუბლიკის საბჭოში რუსეთის საზოგადოება მოსამზადებელ კურსს გადის, დამფუძნებელ კრებაზე სამუშაოთ, ოლქის ყრილობაზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში მეუმრავლესენი გენერალურ რეპეტიციას ახდენენ სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისთვის, რომელმაც უნდა განახორციელოს უფლებათა ხელში ჩამგდებლების სურვილები. სწორეთ ასე ახასიათებს ტროცკი ბოლშევიკების მიზნებს: „ჩვენ უნდა შევამზადოთ მთელი უფლებების გადასვლა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობაზე"...

ერთ ადგილას თავი მოიყარეს ყველა მიმართულების წარმომადგენლებმა მსხვილი ბურჟუაზიიდან დაწყებული რევოლუციურ დემოკრატიამდე, რომ შეერთებული ძალით უბედურებისა და განსაცდელისაგან სამშობლო გამოეხსნათ. მათ გვერდით იმავე ქალაქში იმავე დროს ჯგუფი ხალხის სამოქალაქო ომის კარტას შლის, ღალადებს სახელმწიფო უფლებების წინააღმდეგ გალაშქრებაზე და თავის დამკვრელ ბათალიონებს მობილიზაციას უშვრება.

ჩვენ ვიცით ამბობს გაზეთი რომ ყოველივე სიტყვაზე, მარინის სასახლეში წარმოთქმულზე, აგებს პასუხს ის მიმართულება, რომლის სახელითაც სიტყვას ამბობენო. უფლებასა და სახელმწიფოს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ამ სიტყვებს, მაგრამ ვინ აგებს პასუხს იმ პირთა სიტყვებსა და მოქმედებას, რომელნიც ოცნებობენ რესპუბლიკის წინააღმდეგ გალაშქრებაზე". გაზეთი შემდეგი მოწოდებით ათავებს. „მარტინოვი და სხვა ინტერნაციონალისტები უკვე ჩაეწერენ ქვეყნის თავდაცვის კომისიაში დაახლოებით, ბ. ბ. მეუმრავლესენო, თორემ რუსეთი აწი თვითონ დაიცავს თავის თავს".

* *

### მონარქიული აგიტაცია.

„რაბოჩ. გაზ". ყურადღებას აპყრობს მონარქიული აგიტაციის თავის წამოყოფას.

„მონარქიული დემონსტრაციები ხშირათ ხდება. მას აწყობენ ოფიცრების ჯგუფები თეატრში, მოწაფეები რამოდენიმე სამხედრო სასწავლებლებისა, მიუხედავათ სასჯელისა მღერიან მეფის ჰიმნს, და სხვა...

წინეთ მონარქისტების იმედები შეკავშირებულნი იყვნენ მიხ. რომანოვის სახელთან, რომელიც თვითონ არ კარგავდ ამ იმედებს, და რომელმაც უარი ინგლისში წასვლაზე იმ მოსაზრებით სთქვა, რომ მას სურს დამფუძნებელ კრებას მოუცადოს. ეხლა ვერაგობა მონარხისტების ძმდე მიდის, რომ ისინი თვითონ ნიკოლოზზედაც კი ოცნებობენ. ტობოლსკში „პალომნიკობა" და, იქ გამართულ მანიფესტაციებში ყოფილ მეფის წინ თავადახრით თუ მართალი არის, ეს დიდ „მნიშვნელოვანი ფაქტია, რომლებზედაც ტყუილ უბრალოთ გაჩუმებულა ჩვენი ბეჭდვითი ორგანოები".

გაზეთი წინადადებას იძლევა ზომები იქნას მიღებული მთავრობისა და ყოფილ მეფის წინააღმდეგ და რევოლუციურ მუშაობის გაღრმავებაზე. რესტავრაციისათვის მარტო სარდლები კი არაა ადვილი შესაძლებელია დღლილი და გამოურკვეველი მასაც აღმოჩნდეს. რომ აღმოვფხვრათ ეს სარესტავრაციო მოძრაობა, უნდა შეერთდეს მთელი დემოკრატია. მარტო მეუმრავლესეთა იზოლიაციებს მხოლოდ უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკი გამოიყენებს.

## რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

### ოქტომბრის 18-ის სხდომა

**პეტროგრადი.** ოქტ. 18. სამიწათმოქმედო კომიტეტების შესახებ დებულებანი, რაც მენშევიკ ინტერნაციონალისტ გიმერმა (სუხანოვმა) და ს. რ. გენდენლმანმა წამოაყენა ერთხმათ იქმნა მიღებული. დროებითი საბჭო ერთხმად ადგენს მიჰმართოს მინისტრ-პრეზიდენტს კითხვით, ხომ არ მოისურვებს დროებითი მთავრობა სამიწათმოქმედო კომიტეტების შესახებ შემუშავებულ დებულებათა განხილვას?

#### გიმერის სიტყვა

გიმერი (სუხანოვი) მიუთითებს სამიწათმოქმედო კომიტეტების დებულებათა მნიშვნელობაზე, რაიც ფრიად საგულისხმიეროა ჩვენი მომენტისთვისაო. მისი მიზანი სამიწათმოქმედო ფონდი და მისი ხელშეუხებლობა როგორმე დამფუძნებელ კრებამდე მიიყვანოს. ამ დებულებათაგან დამოკიდებულია მომავალი სასურსათო კომპანია. სამიწათმოქმედო კომიტეტების ნაციონალური მოწესრიგება არა თუ ჩვენს ქვეყანს უზრუნველსა ჰყოფს პურით, არამედ იგი საშვალებას მოგვცემს მეთოდიურად ებრძოლოთ ანარქიას სოფელში, ანარქიასთან ბრძოლა მხოლოდ ერთი რეპრესიებით შეუძლებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ გლეხობა დიდი ხანია მოელის ახალ კანონის გამოცემას მიწის შესახებ, მხოლოდ იმ იმედით, რომ ამით საშვალება ექნება ახალი წესწყობილება განამტკიცოს და უზრუნველ ჰყოს მიწის რეფორმის სისრულეში მოყვანა, ორატორს იმედი აქვს, რომ სამიწადმოქმედო კომიტეტის დებულებანი უნდა შეტანილ იქმნეს რესპუბლიკის საბჭოში, რათა იგი შეეკითხოს მთავრობას, ჰსურს თუ არა დებულებანი იგი საბჭოს განსახილველად წარდგენილ იქნეს! (ტაში მარცხნივ).

#### კალეგინის სიტყვა

გლეხთა დეპ. საბჭოს. სახელით ლაპარაკობს კალეგინი. იგი აღნიშნავს, რომ სამიწადმოქმედო კომიტეტების დებულებანი ფრიად საგულისხმიეროა, განსაკუთრებით დღეს, როდესაც გლეხობა თავისით აწყობს ყოველგვარსა და უწესოება შეაქვს ყოველს სფეროში. დღემდე დროებით მთავრობა არ შეხებია ამ საკითხს, თუმცა ბევრჯელ გამოწყობილ იქმნა მანსახილველად მის წინაშე სხვა და სხვა გვარი ტიპის დებულებანი, მაგრამ დროებითი მთავრობა მასში ჰხედავდა ჯერ კიდევ საკმაოდ დამუშავებულს მასალას. ამიტომაც იგი განსახილველად და შესამუშავებლად გადასცემდა ხოლმე საგანგებო კომისიებს ორატორს იმედი აქვს, რომ რუსეთის რევოლუციას ძირითადს საკითხებში მთავრობა უსათუოდ შეაძლებინებს გარდამწყვეტი სიტყვა სთქვას რესპუბლიკის საბჭომ, ვინაიდან დიდად საჭიროა, რომ კანონ-პროექტი შეკვეცილ სახით არ გამოვიდეს.

ესერთა სახელით **სოროკინი** აცხადებს რომ სოც.-რევოლუციონერთა პროგრამის ქვა-კუთხედი მიწის საკითხი იყო და ნაბიჯსაც თუ გადასდგავენ მხოლოდ მის სრულ განსახორციელებლადაო. პარტია მეტის მეტად დაინტერესებულია, რომ ეძლოთ მისცეს ფართო უფლება ამ საგნის შესახებ ვრცლად და დასაბუთებით გამოსთქვან თავიანთი აზრი.

კადეტთა ფრაქციის სახელით ლაპარაკობს **კაუფმანი**. იგი აცხადებს, რომ თუ დროებით მთავრობა საგანგებო ყურადღებით არ მოეპყრო მიწის საკითხს, არა იმიტომ, რომ საჭიროდ არ სთვლიდა, არამედ იმიტომ, რომ მეტად რთული რამაა იგი ამასთანავე სამიწადმოქმედო კომიტეტების დებულებათა შესახებ ამბობს, იგი არა თუ აგრარულ რეფორმათა განსახორციელებელი პირველი ნაბიჯი არაა, არამედ შესაძლებელია კიდეც სრულიად შეაჩეროს იმ რეფორმების გატარება ცხოვრებაში, რომელთაც ამუშავებენ დღეს-დღეობით უმთავრესი სამიწათმოქმედო კომიტეტებით.

მენშევიკების სახელით მასლოვი ჰფიქრობს, რომ მიწის გადაცემა სამიწათმოქმედო კომიტეტების ხელში უნდა მოხდეს უმაღლეს კრების თანხმობითა და მასი დადგენილებითაო.

#### თავდაცვის საკითხი.

რესპუბლიკის საბჭო გადადის თავდაცვის საკითხზე. ყაზახთა ჯგუფიდან გამოდის ანისიმოვი, რომელიც აცხადებს: მთავრობამ თავის წარმომადგენელთა პირით საკმაოდ მძიმე სურათი დაგვიხატეს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. ქვეყანას დაღუპვა ელის, გარედანაც და შიგნიდანაც. მიუხედავად ამისა, დროებით მთავრობის წევრებმა არავითარი განსაზღვრული და მტკიცე ზომები არ წამოაყენეს, რათა შევეძლოს მოვსპოთ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში დაწყებული საზარელი ანარქია. ერთად ერთი იყო სასურსათო მინისტრი პროკოპოვიჩი რომელმაც გულახდილად აღიარა, თუ რამის მოგვარება გვსურს, უსათუოდ უნდა მივმართოთ ისეთს ზომებს, რომელთაც იძულებითი ხასიათი ექნებათო. სამხედრო მინისტრის საპასუხოდ სთქვა ორატორმა: თქვენ მიერ წამოყენებული ზომები უფრო ზნეობრივის ხასიათისა და არავითარს სასურველს ნაყოფს არ გამოიღებს, ვინაიდან მასსა, რაკი გრძნობს მთავრობის სუსტს ძალას, ყურს არ ათხოვებს მის ნოტაციებს. მოშორდება მას და ვინ იცის, ბოლოს რა დამღუპველ გზას დაადგესო. საბოლოოდ ორატორი მოითხოვს იძულებით, სასტიკ ზომების მიღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციაც და სამშობლოც დაიღუპებაო (ტაში).

2 საათზე და 56 წუთზე კრება სწყდება.

## ეროვნული კითხვა.

### პოლონეთის მანიფესტი.

**კოპენჰაგენი.** ოქტ. 15. ვენის „კორესპონდენტ ბიურო"-ს ვარშავიდან ატყობინებენ: ოქტომბრის 14-ს ტაძარში ფიცის დადების შემდეგ პოლონეთის სარეგენტო საბჭომ მცხოვრებლებს მანიფესტით მიმართა. მანიფესტში ნათქვამია: „საბჭო ღვთის წყალობით გერმანეთისა და ავსტრია-უნგრეთის მეფეთა თანხმობით თავს იდებს უმაღლეს სახელმწიფოებრივ მთავრობას პოლონეთის სახელმწიფოში და ფიცს სდებს, რომ ამ მთავრობას გამოიყენებს საერთო დამოუკიდებლობისათვის და სამშობლოს ბედნიერებისათვის. საბჭო ეცდება განახორციელოს პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იმ აქტების თანახმად, რომლებიც ცენტრალ სახელმწიფოებმა გამოსცეს 1916 წელს ოქტომბრის 23-ს და 1917 წ. თიბათვის 30 ს".

დასასრულ მანიფესტი იგონებს პოლონეთის სანაქებო წარსულს და მოუწოდებს ყველა პოლონელს შეთანხმებულ მუშაობისათვის, ამასთან აგონებს პოლონელთა შემოქმედებრივ ძალას.

#### სადღესასწაულო ნადიმი ვარშავაში.

**კოპენჰაგენი.** ოქტ. 17. ვოლფის სააგენტო იუწყება, 14 ოქტომბერს ვარშავის ციხე-დარბაზში რეგენტობის შემოღების გამო გაიმართა საბჭოს სადღესასწაულო ნადიმი. გენერალ-გუბერნატორმა ბეზელერმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ პოლონეთის სახელმწიფო წეს-წყობილების ფორმა თანდათანობით სახეს იღებს, რაიც მკვეთრს საზღვრებს გაუსვებს დასავლეთ-კულტურის აღმოსავლეთით კულტურისაგან გასამიჯნელადაო. რეგენტის საბჭომ უნდა ნათლად გამოარკვიოს, თუ როგორი სახის წესწყობილება უფრო შეჰფერის პოლონეთს და მის პოლიტიკურს ინტერესებს. რომ ცენტრალ ევროპის სახელმწიფოთა კავშირში შევიდესო.

#### ლიტოვეთის სახელმწიფო და გერმანეთი.

**სტოკჰოლმი.** ოქტ. 18. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ლიტოველთა კონგრესის თავმჯდომარემ, სახელმწიფო სათათბიროს წევრმა იჩასმა განაცხადა, რომ სტოკჰოლმის თათბირს მიზნად იმ საერთო თვალსაზრისის დამყარება ჰქონდა, რომლითაც

ლიტოველთის ერთა პოლიტიკურ მდგომარეობას უნდა შევხედოთ. დამოუკიდებლობის იდეია მუდამ ცოცხლობდა ლიტოველებში. გეოგრაფიულ პირობების გამო ამ ომმა დიდი ზიანი მიაყენა მას; პოლიტიკური პარტიები მის ადგენას შესაძლებლად სცნობენ მხოლოდ სრულ დამოუკიდებლობით. სტოკჰოლმის ლიტოვურმა კონფერენციამ დაადგინა დამფუძნებელ კრების მოწვევა ვილნოში, რომლისაც მან გერმანელთა ჯარის განთავისუფლებს. ვილნოში ლიტოველები თავიანთ ნებას გამოამჟღავნებენ. იჩასს ეჭვი არ ებადება, რომ ლიტველთა ნება გერმანეთისკენ არ გადიხრება. რაც შეეხება გერმანეთთან ხელშეკრულობით დამოკიდებულებას ისაჩი აღნიშნავს, რომ კონფერენცია შესაძლებლად სცნობს გერმანეთთან ხელშეკრულობით დამოკიდებულებას, რამდენადაც ეს დამოკიდებულება ხელს არ შეუშლის სახელმწიფოს დამოუკიდებელ განვითარებისათვის.

## სომეხთა ეროვნული საბჭო

სომეხთა ეროვნულ კონფერენციის პრეზიდიუმი და უხუცესთა საბჭო საბოლოოდ შესთანხმდა აღმასრულებელ ორგანოსი და მის საბჭოს დაარსებაში. აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ეროვნული საბჭო ეწოდება, უკვე ამორჩეულია და შეუდგა კიდეც სათანადო მუშაობას. ეროვნულ საბჭოში შედიან: დაშნაკცაკანებისაგან ავ. აგარონიანი. ა. გიულხანდიანი, ი. ტერმინასიანი, ხ. ვარჩიკიანი, ნ. აგბალიანი და კ. გაზაზიანი; ესერებიდან ლ. ათაბეგიანი და ი. ტერ-ოჰანეზიანი; ს.-დემოკრატებიდან ა. ერზიკიანი და გ. ტერ-გაზიანი; სომეხთა სახალხო პარტიიდან ს. არუთინოვი და ა. აივაზიანი, ხოლო უპარტიოთაგან ს. მამიკონიანი, ტ. ბეკზადიანი და ა. ზახარიანი. პირველ კრებაზე ეროვნულ საბჭომ, 16 ოქტ., თავმჯდომარედ აირჩია ავ. აგარონიანი, მის ამხანაგად ტ. ბეკზადიანი, გ. ტერ-გაზაზიანი და ლ. ათაბეგიანი.

ეროვნულ საბჭოს გარდა არჩეულ იქმნება ეროვნული კრება, რომელშიაც შევა 35 წევრი. საბჭოს ევალება ცხოვრებაში გაატაროს უკვე დახურულ კონფერენციის დადგენილებანი.

# რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

### ყაზახობა და ინგლისი

**პეტროგრადი.** ოქტ. 17. დონის ყაზახთა წარმომადგენლებმა და ყაზახთა ჯარის ყრილობის წევრებმა ინახულეს ინგლისის ელჩი ბიუკენენი და მის სახით მოკავშირეთ მიესალმნენ. საპასუხო სიტყვაში, ბიუკენმა აღნიშნა, რომ ინგლისი დიდად აფასებს ყაზახთა ღირსებას და მათ ძლევამოსილებას. ბიუკენმა იმედი გამოსთქვა, რომ გაზაფხულისთვის რუსის ჯარი გამოიჩენა და შესაძლებელი გახდება ომის ძლევა მოსილად დაგვირგვინება ბიუკენი არწმუნებდა, ნუ გჯერათ, რომ ინგლისი რუსეთის ხარჯზე მტერს სეპარატიულ ზავით შეეკრასო.

### ქაღალდის კრიზისი

**ვლადივოსტოკი.** ოქტ. 17. შორეულს აღმოსავლეთში ქაღალდის კრიზისი ჩამოვარდა.

### კერენსკი

**პეტროგრადი.** ოქტ. 17. მინისტრი თავმჯდომარე უმაღლესი მთავარსარდალი კერენსკი ბანაკიდან პეტროგრადს დაბრუნდა.

### კერენსკის წერილი პენლევესადმი

**პარიზი.** ოქტ. 17. სოციალისტ-რევოლუციონერთა ცენტრალ კომიტეტის და გლეხთა დეპუტატების პრეზიდიუმის წევრმა რუბინოვმა პენლევეს კერენსკის წერილი გადასცა და რუსეთის საქმეებზე ელაპარაკა.

### თავდებით განთავისუფლებულთა შეპყრობა

**პეტროგრადი.** ოქტ. 17. საშინაო საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა—შეიპყარით სატუსაღოდან ყველა ის თავდებით განთავისუფლებულები, ვინც აცხადებდნენ მზად ვართ სამშობლოს ვემსახუროთ, მაგრამ აქამდის ჯარში არ ჩაწერილანო.

### ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა ტამბოვის საოლქო ყრილბის რეზოლუცია

**ტამბოვი** ოქტ. 19. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო ყრილობამ გაჰკიცხა პეტროგრადის და მოსკოვის ფოსტამტების წინადადება გაფიცვის შესახებ, ყრილობამ გაფიცვა კონტრ-რევოლუციურ გამოსვლად გამოაცხადა.

### ანარქია.

### ღვინის საწყობის დარბევა.

**ვორონეჟი.** ოქტ. 16 ღვინის ადგილობრივ სახაზინო საწყობს ჯარის კაცები 2 დღის განმავლობაში არბევდნენ. დაიტაცეს 1000 მეტი ღვინით სავსე ბოთლი. მათ გადასწვეს მილიციის შტაბისა, ყაზარმებისა და დეპუტატთა საბჭოს ტელეფონის მავთულები. დარბევა შესწყვიტა 300 შეიარაღებულმა ჯარის კაცმა.

### მოწოდება ებრაელთა დასარბევად

**ოდესა.** ოქტ. 17. დააპატიმრეს რამდენიმე პირი, რომელნიც ებრაელთა დასარბევად მოწოდებას ავრცელებდნენ.

### „ფლოტის ცენტრის“ რეზოლუცია.

**პეტროგრადი.** ოქტ. 17 ბოლშევიკების მოსალოდნელ გამოსვლის გამო „ფლოტის ცენტრის“ მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ასეთი გამოსვლა სამშობლოს ღალატია, რადგანაც რევოლუციონურ დემოკრატიის ორი ბანაკი ერთი ერთმანეთს შეებრძოლება, რის შედეგიაც კონტრ რევოლუცია ისარგებლებსო.

### აღმასრულებელ კომიტეტის გაფრთხილება.

**პეტროგრადი.** ოქტ. 17. დეპუტატთა საბჭოების ცენტრალ აღმასრულებელმა კომიტეტმა მუშები გააფრთხილა, რომ ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის სამხედრო ნაწილის ნება დაურთველად იარაღი არავის მიეცემა.

### აღმასრულებელ კომიტეტის მოწოდება

**პეტროგრადი.** ოქტ. 17. ცენტრალ აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა, სადაც ნათქვამია: „ბნელი ძალები მხნედ მუშაობენ, რომ უახლოეს დღეებში უწესოება და დარბევა გამოიწვიონ, რათა რევოლუციონური მოძრაობა სისხლში ჩაახრჩონ. გამარჯვებული კონტრ რევოლუცია გააუქმებს დეპუტატთა საბჭოებს და ჯარის-კაცთა კომიტეტებს, დამფუძნებელ კრებას ჩაშლის, მიწების გლეხთა ხელში გადაცემას შესწყვეტს, გააქრობს მოკლე ხანში ზავის ჩამოვდების იმედს და ციხეებს მუშებითა და რევოლუციონურ ჯარის-კაცებით გაავსებს. ბნელ ძალებს ხალხის ერთი ნაწილის უკმაყოფილების იმედი აქვთ. ამიტომ ყოველივე გამოსვლა, თუნდაც რევოლუციონურ მიზნით სრულიად უადგილო იქნება. აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს მუშებს არ აჰყვნენ ბნელი ძალების მოწოდებას. სახელმწიფოებრივ მთავრობის შედგენა, სოციალისტურ ექსპერიმენტების შეწყვეტა, მამულების ძალით ჩამორთმევა, თუ ეს საჭირო გახდა, ისე უნდა მოხდეს, რომ 1861 წლის რეფორმის გაგრძელება იყოს.

### პსკოვის საბჭოს უარი.

**პსკოვი.** ოქტ. 18. პსკოვის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭო და გლეხთა დეპუტატების საგუბერნიო კომიტეტი წინააღმდეგნი არიან, რომ მთავრობა დეპუტატთა საბჭოების ხელში გადავიდეს.

### რუმინეთის ფრონტი ყრილობის შესახებ

**ოდესა.** ოქტ. 17. რუმინეთის ფრონტის აღმასრულებელ კომიტეტს იზმაილის, ნოვოგეორგიევსკის, ევპატორიის, გენიჩესკის, სადოვკას და ბინდერის დეპუტატთა საბჭოები და აგრეთვე საოლქო კომიტეტები დეპეშებითატყობინებენ დეპუტატთა საბჭოების ყრილობა უდროულადაა მოწვეულიო.

# ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ **მასწავლებელთა კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე კლასიკური გიმნაზიის დარბაზში შესდგება დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების კავშირის საერთო კრება. კრებაზე არჩეული იქმნება ახალი გამგეობა კავშირისა.

✦ **სარაიონო ინსპექტორების არჩევის შესახებ.** 24 ოქტომბერს მოხდება ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტის კრება სახალხო სკოლების სარაიონო ინსპექტორების ასარჩევათ.

✦ **გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტის გამგეობამ** სთხოვა დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობას, რომ დაესწრონ წევრები ამ გამგეობისა აღმასრულებელი კომიტეტის კრებას 24 ოქტომბერს და სარაიონო ინსპექტორების არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

✦ **ლექცია.** ქუთაისის საერთო ქალთა კლუბის მიერ საღამოს 6 საათზე ქალაქის თეატრში გამართავს ლექციის კითხვა. ლექციას წაიკითხავს კატო მიქელაძე: „მნიშვნელობა ქალთა კავშირისა.

✦ **„სულელი“.** დღეს ქალაქის თეატრში ნინო ჩხეიძის მონაწილეობით მესამეჯერ წარმოდგენილი იქნება ნ. მიცკევიჩის ახალი პიესა „სულელი“.

✦ **ცნობა ა. ჩხენკელისა** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი ა. ჩხენკელი გუბერნიის კომისარს გრ. გიორგაძეს შემდეგს აცნობებს:

✦ „დღეს ამიერ-კავკასიაში სასურსათო კითხვა კრიზისს განიცდის. პური ჩრდილოეთ კავკასიიდან მეტად ცოტა მოგვდის და ეს უნდა გავანაწილოთ სამართლიანათ იმ ადგილებში, სადაც შიმშილობაა. ადგილობრივადაც უნდა ვილონოთ, რომ საშინელი შიმშილი თავიდან ავიცილოთ. ეს მოვალეობა თავს აწევს ადგილობრივ სასურსათო კომიტეტებს და ამ კომიტეტებმა უნდა იხელმძღვანელონ თანახმად მთავარი კომიტეტების მოსაზრებისა. სასურსათო კომიტეტებმა ანგარიში უნდა გაუწიონ მცხოვრებთა მოთხოვნილებებს, მაგრამ უმთავრესი მოვალეობა მცხოვრებთა უზრუნველყოფისევალება დროებითი მთავრობის კომისრებს. ყოველივე დაბრკოლება, რომელიც სასურსათო კომიტეტებს წინ ელობება გადალახული უნდა იქმნეს. თუ კომისრებმა სამართლიანი მოთხოვნილებანი სასურსათო კომიტეტებისა არ დააკმაყოფილებენ იმ შემთხვევაში ისინი დასჯილი იქმნებიან. ამავე დროს კომისრებმა როგორც გამგეებმა გუბერნიებისა თვალყური უნდა ადევნონ თავის ხელ ქვეითებს და ბოროტების ჩადენისათვის კიდეც დაითხოვონ და სხვა.

✦ **ახალ-სენაკის სამაზრო სასურს. კომიტეტი.** ქუთაისის სას. კომიტეტს ახალსენაკის ახლად დაარსებულ სამაზრო კომიტეტიდან მოუვიდა პირველი კრების ოქმი დასამტკიცებლათ. კრება მოხდარა 17 ოქტომბერს. კომიტეტის თავმჯდომარეთ აურჩევიათ: ლ. დავითაია და წევრებათ კი გ. ჯაკობია და ა. კინწურაშვილი. ჯამაგირათ თითეულ წევრს დაენიშნა წლიურათ 3,600 მანეთი. წლიურათ მოსამსახურეების და კანცელარიის შენახვა ჯდება 25,500 მანეთი.

✦ **შაქრის კითხვა.** შაქრის რაოდენობით ქუთაისი უზრუნველ ყოფილა. როგორც სასურსათო კომიტეტმა გამოარკვია ქუთაისში არსებულ შაქარზე ფასები მომატებული არ იქნება, რადგანაც ეს შაქარი დამზადებულია 1917 წლამდის.

✦ **შაქარი ტუსაღებს.** საოლქო სასურსათო კომიტეტის თავჯდომარის ამხანაგი არდიშვილი იტყობინება, რომ ტუსაღებს შაქარი მომატებული ნორმით არ მიეცემათ.

✦ **შეშა.** ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი ყოველდღე უკვე ღებულობს ყუთებით 5-დან 10-ამდის საჟენ შეშას. ეს შეშა მორიგებით ეძლევა, როგორც მცხოვრებლებს ის ჯარის კაცებსაც.

✦ **პურის კითხვა.** ტეხნიკურ დაბრკოლების გამო სასურსათო კომიტეტი პურის ბარათებით გაყიდვას 1 ნოემბრამდის ვერ მოაწყობს.

✦ **ფეხსაცმელების ტყავი.** განჯის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თავჯდომარე იტყობინება, რომ განჯაში შეიძლება შეძენა თხის ტყავისა ფეხსაცმელებისათვის ფუთი ტყავი ღირებულია 600 მანეთათ.

✦ **გაძარცვა.** ქუთაისის მაზრის კომისარი გუბერნიის კომისარს გრ. გიორგაძეს ატყობინებს, რომ 27 სექტემბერს ხონის გზაზე ავაზაკები თავს დაესხნენ ეტლით მიმავალ მგზავრებს. მუქარის შემდეგ შ. ციციაშვილს წაართვეს-1150 მანეთი, ბ. თოფჩიაშვილს-1000 მანეთი, ი. პაპიაშვილს 1500 მანეთი და ქუთაისის ვაჭარს ს. სანაძეს 244 მანეთი.

✦ **გუბერნიის კომისარმა** აცნობა ქალაქის მილიციის უფროსს, გამოუცხადოს კაზაკოვის ქუჩაზე მოვაჭრე კ. ციქიფურიშვილს, რომ სხვა და სხვა საქონელზე ფასებს ხელოვნურათ ნუ აღიღებს, თორემ მისი სავაჭრო დახურულ იქნება და თვითონ კი დაპატიმრებული.

✦ **სიმინდი.** გროზნიდან სასურსათო კომიტეტს ატყობინებენ, რომ სიმინდის ყიდვა შეიძლება 4 მანეთად და 10 შაურათ.

✦ **დანიელ ქირაზონიშვილი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ რიონისა და ქუთაისის სადგურებს შუა მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების ქაღალდი და სხვა საბუთები. მნახველს სთხოვს მოიტანოს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში. მნახველს ჯილდოთ მიეცემა 5 მანეთი.

### შეცდომის გასწორება.

ბეჭვდის დროს დედანთან შეუდარებლობის გამო ჩემი წერილი „ახალი პარტია“ (იხილე „ჩვენი ქვეყანა“ 21 ოქტ.) ისე დამახინჯებულია, რომ მას ჩემ წერილთან საერთო არა აქვს-რა.

ვასილ წერეთელი.

## შემრიგებელ კამერათა დებულება.

1. მუშებისა და სამრეწველოების გამგებლობის შორის უთანხმოების თავიდან ასაცილებლად და უკვე მომხდარ უთანხმოების გადასაწყვეტად მოქმედებაში შედის შემდეგი დებულებანი.

2. შემარგებელი დაწესებულებანი არსდება შემარიგებელ კამერების სახით (ამა თუ იმ დარგის სამრეწველოში და სამრეწველო რაიონებში) და აგრეთვე სამედიატორო სასამართლოს სახით.

3. მრეწველმა ან მუშამ წერილობით ან ზეპირად უნდა განუცხადონ შრომის კომისარს, რომ მას სურს უთანხმოების განხილვა შემარიგებელ კამერას მიანდოს. შრომის კომისარი დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს და წინადადებას აძლევს 48 საათის განმავლობაში აცნობოს მან თანახმაა თუ არა მოწინააღმდეგის წინადადებისა, თუ უთანხმოების განხილვის 2 დღით გადადება შეუძლებელია, მაშინ შრომის კომისარს უფლება ეძლევა ეს ვადა შეამციროს. თანხმობის მიღებისათანავე შრომის კომისარმა ყოველი ღონე უნდა იღონოს შემარიგებელი კამერა რაც შეიძლება საჩქაროდ მოაწყოს. თუ მეორე მხარემ უარი განაცხადა, შრომის კომისარი წინადადების მიმცემს აცნობებს ამის და შემდეგ ადგილობრივ პრესაში აცხადებს, რომ ერთმა მხარემ მოინდომა უთანხმოება შემარიგებელ კამერას განეხილა, მაგრამ მეორე არ დათანხმდა ამას.

4. შრომის კომისარს უფლება აქვს თვითონ მისცეს წინადადება ორივე მხარეს, რომ უთანხმოება შემარიგებელმა კამერამ განიხილოს. თუ ერთმა ან ორივე მხარემ არ მიიღო ეს წინადადება, ამას შრომის კომისარი პრესაში აცხადებს.

5. გარდა საგანგებოდ ამა თუ იმ შემთხვევისათვის შედგენილ კამერისა, შრომის კომისარმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ განსაზღვრული ხნით შეადგინოს მუდმივი შემრიგებელი კამერა, თუ საამისო შუამდგომლობა აღძრან ორივე ერთ-ერთმა მხარემ. თუ ეს წინადადება რომელიმე მხარემ არ მიიღო, ეს კომისარმა პრესაში უნდა გამოაცხადოს.

6. შემარიგებელ კამერაში რამდენი წარმომადგენელიც მრეწველთაგან იქნება, იმდენი წარმომადგენელი მუშებისაგან უნდა იყოს. თავჯდომარეს კამერის წევრები თავის წრიდან ირჩევენ.

7. შემარიგებელ კამერის მოქმედების წესის ორივე მხარის მიერ შემუშავების დროს უნდა შეადგინონ კამერის მოწყობისა და მისი საქმეების წარმოების წესრიგი. კერძოდ საჭიროა გამოირკვეს: 1) როგორ და რამდენი წევრი აირჩეს, რამდენი ხნით არიან არჩეულნი წარმომადგენელნი და მისი მოადგილენი, 2) როგორ მოხდა თავმჯდომარის არჩევნები, 3) კამერის თავმჯდომარისა და წევრების უფლებები, 4) საქმეების განხილვის წესი, 5) მოსამსახურეთა მოწვევისა და ხარჯების წესი, 6) კამერაში ყოფნის განმავლობაში სამრეწველოების მუშაობისაგან განთავისუფლება.

კამერას შეუძლიან წინასწარ შემუშავებული წესრიგი შეცვალოს.

8) კამერას შეუძლიან განსახილველ საგნის წინასწარ განსახილველად ორივე მხარის წარმომადგენელთაგან შეადგინოს საგანგებო კომისია.

9. შემარიგებელ კამერის სხდომები საჯაროდ უნდა ხდებოდეს. კერძო შემთხვევაში, თუ ერთხმად დაადგინა კამერამ, შესაძლებელია საქმეები დახურულ სხდომებზე იქმნას განხილული. აუცილებლად უნდა სდგებოდეს სხდომების ოქმი.

10. შემარიგებელ კამერებში მრეწველთა და მუშების წარმომადგენლებს თანასწორი ხმის უფლება აქვთ. საკითხები უბრალო ხმის უმეტესობით.

11. შეიძლება კამერის დადგენილებაში განმარტებული იქნეს რამდენიხნის განმავლობაში უნდა დარჩეს იგი ძალაში. თუ გარემოებანი შეიცვალა, კამერას უფლება აქვს ვადის გასვლამდე ხელმეორედ განიხილოს თავისი დადგენილება.

12. ორივე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს შემრიგებელ კამერის საშუალო დადგენილება. დანიშნულ ვადამდე ორივე მხარემ კამერის წერილობითვე უნდა აცნობოს, რომ მიიღო მის დადგენილება.

13. თუ კამერაში ვერ შესდგა ხმის უმრავლესობა და დადგენილება ვერ გამოიტანეს, კამერას შეუძლიან წინადადება მისცეს მომჩივანთ, რომ საქმე სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს, და ორივე მხრის თანხმობით უკანასკნელის მოწვევაში დახმარება თავს იდვას.

14. სამედიატორო სასამართლოში თანაბრად შედიან მუშებისა და მწარმოებელთა წარმომადგენლები. თავმჯდომარე ერთხმად უნდა აირჩიონ გარეშე პირთაგან.

15. სამედიატორო სასამართლოს შეუძლია განმარტებისათვის მოიწვიოს ორივე მხარე, მოწმეები, მცოდნე პირები, და მოსთხოვოს საქმის გარემოების გამოსარკვევად მომჩივანთ, წარმოადგინონ ყველა ცნობები და წერილობითი დოკუმენტები იმ პირობით კი, რომ საკომერციო და სამრეწველო საიდუმლოებანი დაცულ იყოს.

16. სამედიატორო სასამართლომ დადგენილება წევრებისა და თავმჯდომარის ხმის უმეტესობით უნდა გამოიტანოს და უნდა აუწყოს დაინტერესებულ მხარეებს არა უგვიანეს შემდეგი დღისა მიღებისთანავე ეს დადგენილებები სამრეწველოში უნდა გამოჰკიდონ, რომ მას გაეცნონ მუშები.

17. სამედიატორო სასამართლომ დადგენილების გამოტანის შემდეგ მთელი საქმის წარმოება შრომის კომისარს უნდა გადასცეს.

18. კამერებს შეუძლიანთ თავისი ორგანიზაციისა და მოქმედების შესახებ და აგრეთვე სამედიატორო სასამართლოების მოქმედების შესახებ ცნობები გადასცენ შრომის კომისარს, რომელიც ამ ცნობებს თავს უყრის. ვადა ამ ანგარიშების წარსადგენად თვით შრომის კომისარმა უნდა დანიშნოს.

19. საგანგებო შემარიგებელ დაწესებულებათა დაარსება ამ წესების მიხედვით უნდა ხდებოდეს როგორც მრეწველთა და მუშებისა, ისე სამრეწველოზე მოსამსახურეთა და მუშებს შორის.

ამ დებულებებზე ხელი აქვთ მოწერილი მინისტრთა თავმჯდომარის ამხანაგს ნ- ნეკრასოვს და შრომის მინისტრის ამხანაგს პ. კოლკოლნიკოვს 1917 წლის მარიამობისთვის 5.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

### აღმოსავლეთის ფრონტი.

### რუსეთის ბანაკის ცნობა.

**პეტროგრადი** ოქტ. 19. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით მტერი წინასწარ შემზადებულ ასპარეზებისკენ დახევას განაგრძობს. უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომც მტერი ამ დახევით შესძლებდეს ჯარის სხვა და სხვა ფრონტზე გადასხმას ფრონტის ზოგიერთ ადგილებში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა,

**დასავლეთის. სამხრეთ-დასავლეთის, რუმინეთის და კავკასიის ფრონტები**—სროლაა.

### ინგლისის ბანაკის ცნობა

**ლონდონი.** ოქტ 17. კრუაზილის ჩრდილო-დასავლეთით ინჩსილის მსროლელთა რაზმი გერმანელების სანგრებში შეიჭრა. დიქსმიუდეს ჩრდილოეთით ბელგიელებმა ხელჩართულ ბრძოლით რამდენიმე ტყვე იგდეს ხელთ. რულერის რკინის გზის ჩრდილოეთით გერმანელთა არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა.

**მფრინავთა მოქმედება.** მთელ დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჰაეროდრომებსა და ბანაკებს 100-ზე მეტი ყუმბარა ესროლეს. წუხელ ვოპურდეს ჰაეროდრომს, კურტეს კაზარმებს და რულერის რაიონის სადგურს უშენდნენ ყუმბარებს.

### იტალიის ბანაკის ცნობა

**რომი.** ოქტ. 17. ოფიციალი. გუშინ ჩვენი ჯარი ახალ ასპარეზისკენ დახევას განაგრძობდა. ჩავშალეთ იზონცოს ყველა ხიდები. ჩვენი ცხენოსნები მტრის მოწინავეებს ხვდებიან.

### დამარცხების შედეგები

„ბირჟ. ვედ." იტალიის ფრონტის გარღვევის შესახებ ამბობს: „კადორნის გამარჯვება დიდხანს აკავებდა ავსტრო გერმანელთა ძალებს იტალიის ფრონტზე ამ გამარჯვების გავრცელება ეხლა უფრო საშიროა, ვიდრე სხვა როდისმე, ვინაიდან სამხრეთ-დასავლეთ და სხვა ფრონტზე ყოველ წუთში უნდა ახალ ახალს სიურპრიზებს მოველოდეთ. თუ იტალიის ჯარები ეხლა იძულებული გახდებიან უმოქმედოთ შეჩერდნენ და რაოდენიმე ხანი ასე დაჰყონ. ამით მტერს საშუალება მიეცემა დივიზიების ახალი ჯგუფების, რათა ჩვენს ფრონტს დაუბრუნდნენ. უეჭველია ფრანგები და ინგლისელები რამეს ილონებენ და გულხელ-დაკრეფილი არ ისხდებიან, კადორნს კი ის-ღა დარჩენია, რომ ამის მოლოდინში საკუთარს ძალღონეს დაეყრდნოს და რაოდენადაც კი ძალუძს, მოახერხოს მტრის შეჩერება. თუ არა და ჩვენ დავკარგავთ იმ მოკავშირეს, რომელიც არა ნაკლებ მტრის 35—37 დივიზიას აკავებდა...

### დანიის გემის ჩაძირვა

**კოპენჰაგენი.** ოქტ. 16. ჩასძირეს ბილბაოდან ინგლისისკენ მომავალ დანიის გემი „ლფიორგი". იგი მადნით იყო დატვირთული. ზედ მყოფთაგან მხოლოდ სამი გადარჩა.

### რეფორმები ავსტრიასა და ოსმალეთში

**ლონდონი.** ოქტ. 18. თემთა პალატაში ვოკსტონმა შეკითხვა შეიტანა შესახებ ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და ოსმალეთის შინაურ ცვლილებებზე. ბალფურმა აღნიშნა, რომ მართალია ავსტრია უნგრეთში ცვლილებები ხდება დემოკრატიულ მიმართულებისაო, მაგრამ ამის შესახებ ოფიციალ განცხადებით გამოსვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

## წერილები მოსკოვიდან.

გინახავთ ხელოვნურ სცენაზე ხელოვნურათ დადგმული ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენის ცხოვრებისა"? განგიცდიათ ძლიერება მშვენიერი კალმის ნაყოფისა? გატაცებულხართ მომქმედ პირთა სიხარულით, მწუხარებით, გაჭირვება-ტანჯვით და დაგიწყებიათ ის საცარძელი, რომელზედაც თქვენ იჯექით?

მეტს ვიტყვით: გიმგზავრიათ თვით შორაპნიოვის მთების მწვერვალებისაკენ და აღფრთოვანებულხართ იმ სილამაზის ხილვით, რომელიც თქვენ თვალ-წინ იშლება?

თუ განგიცდიათ ყოველივე ეს, შეუძლებელია ერთი ანდრეევის გმირივით თქვენც არ წამოიძახოთ: „რა სილამაზეა! რა მშვენიერებაა"!

იყო დრო, როცა ამ გარეგნულ სილამაზეს ხელს უწყობდა შინაური სილამაზეც რასაკვირველია, დახავსებული ბიუროკრატიზმის გამოკლებით, როცა დღეს გამხეცებული მოსკოველი სანოვაგის ასეთ კრიზისს არა გრძნობდა; მისი სახე მწუხარების არ მოეცო და ყოველთვის გულლიათ დაგიხვდებოდა ხოლმე. როცა სტუდენტობა ასეთ სევდას არ მოეცო და ონოფრე ნიკოლოზის ძეს შეეძლო ყველაფერი საკმარისად ეშოვა ერთი ბინიდან მეორეზე თავისუფლად გადაეტანა თავისი წიგნებით დატვირთული ჩემოდანი და თუ ყოველ შემთხვევაში იგრძნობდა უბინაობას, სულიერი განწყობილება მისი იმნაირი იყო, რომ არაფრად ჩააგდებდა ასეთ რამეს და ხუმრობით იტყოდა: „სახლი, ეს ხუთსართულიანი სისულელეაო".

დღეს სურათი ერთბაშად შეცვლილია. როგორც ამას წინათ ვიწერებოდით, სანოვაგე მოსკოვში სრულიად არ იშოვება და რაც იშოვება იმასაც ზღაპრულ ფასი ადევს. სანოვაგის უქონლობა ქალაქის ბევრ ნაწილებში არეულობას იწვევს ბოლო დროს აქ საგრძნობლად აცივდა და არეულობებიც მკვეთრ სახეს ღებულობს. რა საკვირველია, შავრაზმელებს ასეთ შემთხვევების დროს არა სძინავთ და ისედაც გამხეცებულ ბრბოს თავიანთი შავი ლიტერატურით თუ პროპაგანდით ახალ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებენ. ამ დღეებში მიაგნეს ზოგიერთ მათ ბინებს და ბევრი წიგნები დაუჭირეს. საერთოთ უნდა ითქვას, რომ რაც დრო გადის უკმაყოფილება მეტად იზრდება და მომავალს არც თუ ისე საიმედოთ ხატავს.

* * *

ამ ბოლო დროს თითქოს გამოჩნდა ოთხი-ბინები მაგრამ აუტანელ ფასები ადევს. ოთახი, რომელსაც არა თუ ომამდი, არამედ შარშან 40 მანეთად იქირავებდით, დღეს 200 მ. აფასებენ. ბევრი სტუდენტობა ისევ უკან ბრუნდება, ვინაიდან ამ პირობებში მოსკოვში ცხოვრება აუტანელი ხდება.

როგ რც ვიცით მოსკოვის ქართულ საზოგადოებას მოსკოვში ქონდა თავისი სავადმყოფო, ვინაიდან ის სავადმყოფო წელს თავის დანიშნულებას არ, ემსახურებოდა, ამიტომ რამდენიმე უბინოთ დარჩენილმა სტუდენტობამ იქირავა ის საერთო თანხით და თავი შეაფარა. შედარებით შარშანდელზე ქართველი სტუდენტმა ძალიან მცირეა და აქაურ ქართველთა ცხოვრებაც საერთოთ სუსტი ტემპით მინდინარეობს.

Novus.

## პატარა ფელეტონი.

**ყოფილი მინისტრი ჩერნოვი—მემამულეა.**

გაზეთ „ვოზროჟდენიე"-ს, 18 ნომერში უცნაური ცნობაა მოყვანილი. ტამბოვის გუბერნიის გლეხებს გადაუწყვეტიათ. ო-დ ვოლვონსკის მამულიდან ერთი კარგი მოზრდილი ნაჭერი მიწა გამოჰყონ და „მუჟიკები"-ს მინისტრს ჩერნოვს შესთავაზონ, ნიშნად მადლობისა, და ამით მისი „მოღვაწეობისთვის" მის წინაშე ვალი მოიხადონ.

არ ვიცით, მიიღებს თუ არა ვოლვონსკისნეულ მამულს გულ ახდილ და მადლიერ მუჟიკებისგან ბ. ჩერნოვი, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ჩერნოვი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება: თუ უარი განაცხადა საჩუქარზედ, ვაი თუ გლეხებმა იფიქრონ,—ჩერნოვი ჩვენთვის ისეთ რამეს იმეტებს რაც მას თავისათვის სასურველათ არ მიაჩნია. და შეიძლება, ეჭვის თვალითაც შეხვდენ მის „მოღვაწეობას".

მართლაც, რაშია საქმე: კაცი არ ჭამს იმ საჭმელს, რომელსაც სხვას სთავაზობს"! აქ ხომ ერთნაირი გაუგებრობაა! უთუოდ საჭმელი მოწამლულია, თორემ რატომ თვითონ არ მიირთმევს მასპინძელიო; ან სხვის წართმეულ მიწაზე უარს ამბობს ჩერნოვი იმისთვის, რომ აქ რაღაც ოინებია დამალული ჩვენს წინააღმდეგო, იფიქრებს გულუბრყვილო ტამბოველი გლეხი; თორემ აბა ვინ იქნება ისეთი თავის თავის მტერი, რომ ვოლვონსკის დამუშავებული და ყოველ სიკეთით სავსე მამული არ ინდომოს?

ასეთი აზრი უეჭველად დაებადება გლეხობას! იმ დღიდანვე რა დღესაც კი ჩერნოვი „საჩუქარზედ" უარს იტყვის. გლეხი აბა იმას კი არ დაგიდევს, რომ ჩერნოვი დიდი „ფრანტი" ვიცია თურმე, და მიწის ხვნა და ტალახში ხელის გასვრა, ალბათ ისე ეზარება, როგორც კატას წყალში ბანაობა.

ნაქირავები მუშებით მიწის დამუშავება ხომ აკრძალულია სოციალისტებისაგან! ვისაც უნდა მიწა, თვითონ უნდა ხნავდეს, სთესავდეს და მოიწევდეს.

ამ მოძღვრების თვალსაზრისით მე მალე ველი იმ ბედნიერ დღეს, როდესაც ყველა სოციალისტები მინდორ ყანას მოედებიან და ხვნა თესვას გაათკეცებენ. უიმისოთ, რომ არ შეიძლება გინდ ჩვენ კურთხეულ საქართველოში, სადაც ცხოვრების სახსარი მარტო ხვნა თესვით მოიპოვება!

ეხლა ისევ ჩერნოვზედ.

შეიძლება ჩერნოვმა ვოლვინსკის მამული „მუჟიკებისგან" კიდეც მიიღოს დიდის მადლობით და ამნაირათ „პომეშჩიკი" გახდეს.

მაგრამ იქაც არა ნაკლებ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება ყოფილი მინისტრი თვითონ გახდება მემამულეთ და ვოლვინსკის ისღა დარჩენია, რომ მუშათ გავიდეს. შეიძლება დიდმა ხანმა არ გაიაროს და იგივე ტამბოველი მუშები და „მუჟიკები" მიუვარდნენ ჩერნოვს, დაარბიონ გინდ თვით ვოლვინსკის მეთაურობით და მის პროპაგანდით ამხედრებულნი.

და დახე უკუღმართს ბედს! გუშინდელი ნაჩუქარი მამული მადლიერმა მუშებმა ჩამოართვან თავიან ყოფილ მინისტრს და ისევ ვოლვინსკის შესთავაზონ. აქ არაფერი გასაკვირველი არ არის, პირიქით, ვოლვინსკის ხელში მამული უფრო დამუშავდება, რადგანაც მას დიდი უნარი და ნიჭი გამოუჩენია სასოფლო მეურნეობაში ვინემ ჩერნოვს, რომელიც უფრო კაბინეტურ ფანტაზიებს ან და „დუხი-პომადა"-ს ანდომებს თავის დროს და მოცალეობას თურმე, ვინებ მიწის დამუშავებას და მის გარშემო ატეხილ სადავო საკითხების გამორკვევას.

ეს უბრალო შემთხვევა ტამბოველ გლეხების გულუხვობისა იმის ნიმუშია, რომ „სოციალისტურ აზროვნებაში" ბევრი სხვა თუ სამწუხარო არა, სასაცილო შედეგები იჩენს თავს...

ვ. ჩ.

## სარაიონო ინსპექტორების შესახებ.

ქუთ. გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტისა და დასავლეთ-საქართველოს სახალხო მასწავლებელთა გამგეობის შეერთებული კრება.

(დასასრული იხ. „ჩვენი ქვეყნის" № 155).

**მ. ფაჩუაშვილი:** აქ წარმოითქვა აზრი, რომ მასწავლებლები და ინსპექტორებიც ხალხმა უნდა აირჩიოსო. ეს თავისთავად მართალია, მაგრამ ჯერ ჩვენს ხალხს არ შეუძლია ღირსეულათ აირჩიოს მასწავლებლები. აგრეთვე სთქვეს, რომ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს ინსპექტორები აირჩიოსო, რადგანაც ეს კომიტეტი ხალხის ნდობით აღჭურვილი არიისო, მაგრამ ვიტყვი, რომ კომიტეტი კომიტეტია და ხალხი კიდევ ხალხი. მასწავლებელი უნდა აირჩიოს ბდგილობრივმა მასწავლებელთა კორპორაციამ, რადგანაც ეს კორპორაცია უფრო დაინტერესებულია, საქმე მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს და, ეჭვს გარეშეა, რომ შესაფერ მასწავლებლებსაც აირჩევს. რაც შეეხება იმას, რომ საქმე დაყოვნებას არ მოითმენსო. ვაცხადებ, რომ ზოგ მაზრაში ინსპექტორები უკვე არჩეულია; სადაც არა არი, იქ ამ დღეებში აირჩევენ.

**ლ. შურღაია:** აღმასრულებელი კომიტეტი არ უნდა შეიჭრას მასწავლებელთა საქმეებში, მან მხოლოდ კანტროლი უნდა გაუკეთოს მათ მოქმედებას.

**კაპანაძე:** მიკვირს, როდესაც ამბობენ, რომ გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტს არ შეუძლია აირჩიოს შესაფერი კანდიდატებიო. ჩვენ ხალხის ნდობით ვართ აღჭურვილნი და ჩვენი არჩეულნი ინსპექტორებიც ისეთივე ნდობით იქნებიან აღჭურვილნი.

**უზნაძე:** (დას. საქ. სახ. მასწ. კავშირის წევრი) უნდა მოგახსენოთ, რომ როდესაც მ. ფაჩუაშვილი ლაპარაკობს, მისი აზრები და სურვილები არ ეკუთვნის ყველა მასწავლებლებს. იგი ლაპარაკობს მასწავლებლების ერთი ნაწილის მხრით და სამართლიანობა მოითხოვდა, რომ მას მასწავლებელთა მეორე ნაწილის აზრიც გამოეთქვა. მე ვაცხადებ, რომ ჩვენი ამხანაგები სრულიად ეთანხმებიან აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას.

**გობეჩია:** როგორც სჩანს, აქ დღეს შეთანხმება არ მოხდება. მაგრამ საკვირველია, როდესაც ს.-დემოკრატებს 8 ადგილიდან მიაქვთ 4, ს.-ფედერალისტებს 3 და თითოს კი უთმობენ დანარჩენ ორ პარტიას. ს.-ფედერალისტები თავიდანვე ამბობდენ, რომ ინსპექტორები მასწავლებლებმა უნდა აირჩიონო. ს.-დემოკრატები კი იმ აზრს ადგენ, რომ, რადგანაც ამ ჟამათ გარდამავალი ხანაა და ჩვენ კი ნდობით ვართ აღჭურვილი,— ჩვენ უნდა ავირჩიოთო.

ჩეიის აზრით აქ უნდა შესდგეს ინტერპარტიული კომისია, რომელიც წამოაყენებს კანდიდატებს ყველა პარტიებიდან და გავიყვანთ.

**გ. ურატაძე:** მე ვეთანხმები ამხ. გოლდმანს. კომიტეტს აუცილებლად უფლება უნდა ექნეს ინსპექტორების არჩევისა.

**გრ. გველესიანი:** აქ უნდა დასახელებულ იქმნას კანდიდატები ყველა პარტიიდან. სიები უნდა დაეგზავნოს ფილიალურ განყოფილებებს და ისინი გაიყვანენ.

**მ. ფაჩუაშვილი:** ეს ასე უნდა მოხდეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ეროვნულ-დემოკრატების კანდიდატურა წამოვაყენეთ, მასწავლებლები იმას არ გაიყვანენ.

**ტრიფონ ჯაფარიძე.** მასწავლებელი ფაჩუაშვილი წინდაწინ (ავანსათ) აცხადებს, რომ სახალხო მასწავლებლები ნაციონალ - დემოკრატების კანდიდატს მაინც არ აირჩევენ ინსპექტორათ, რაც გინდა კარგი პედაგოგი იქნეს იგიო. ეს ცხადი ცილის წამება და ჩირქსა სცხებს სახალხო მასწავლებლებს. ნუ თუ მასწავლებლები იმდენათ შეუგნებელი და ვიწრო გონებისა არიან, რომ არჩევითი უფლება ჯეროვანათ ვერ მოიხმარონ? მე, როგორც მასწავლებელი, ვგმობ ასეთ მოუფიქრებელ განცხადებას და ვამტკიცებ, რომ სახალხო მასწავლებლები პოლიტიკურათ იმდენათ მომწიფებულნი არიან და იმდენათ აფასებენ თავის უწმინდეს პროფესიას, რომ კარგ პედაგოგს ყოველთვის აირჩევენ ინსპექტორათ, მიუხედავათ იმისა, სოციალისტია ის, თუ არა. თვით ფაჩუაშვილი შეიძლება იყოს სამწუხარო გამონაკლისი, მაგრამ სახალხო მასწავლებელთა წრე თავის მაღალ დანიშნულებაზე ყოველთვის იქნება და ასეთი წევრები მას სახელს ვერ გაუტეხენ. ეს მწარე სიტყვები, რომელითაც შეურაცყოფილია სახალხო მასწავლებელთა წრე, თუ უცაბედათ წამოსცდა მთქმელს, უკან წაიღოს და, თუ შეგნებულათ სთქვა, მეტათ სამწუხაროა და ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ მთქმელს მოქალაქეობრივი სიმწიფე არა აქვს და ასეთ კრებაში, როგორიც აქაა, მას ლაპარაკი არ შვენის.

**გრ. გიორგაძე:** აქ გამოითქვა აზრი შევადგინოთ კანდიდატთა სია, გავგზავნოთ ფილიალურ განყოფილებებში და იქ აირჩევენო. მე მიკვირს. ვსთქვათ მაგალითათ ზუგდიდის მაზრაში არც ერთი ს.-დემოკრატი მასწავლებელი არ არის და იმაც, რომ კანდიდატათ ს.-დემოკრატი წარუდგინოთ, როგორ გგონიათ გაიყვანებენ თუ არა.

**გრ. ურატაძე:** როდესაც მასწავლებლებთან შეთანხმებით კანდიდატთა სიას შევადგენთ, მთავარი გამგეობა შეუთვლის ფილიალურ განყოფილებებს, რომ ყველა კანდიდატები იქნეს გაყვანილი, მიუხედავათ რწმენისა და მიმართულებისა.

წინადადება შემოდის, რომ კამათი შეწყვეტილ იქმნეს. კრება წინადადებას ღებულობს. შემდეგ კრებამ ხმის დიდის უმეტესობით დაადგინა, რომ ინსპექტორები აირჩიოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მასწავლებელთა კავშირის გამგეობასთან შეთანხმებით.

ამ დადგენილების შემდეგ მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელი იმნაძე აცხადებს, რომ ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთო.

ამ გვარათ მთელმა კრებამ უნაყოფოთ ჩაიარა და მხოლოდ გრძელ-გრძელ სიტყვებს მოანდომეს რამდენიმე საათი.

არჩევნები ისევ ძველებურათ უნდა მოხდეს. კანდიდატებს წამოაყენებს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სასკოლო კომისია, ხოლო კანდიდატებს დაამტკიცებს საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი.

ნ—ი.

## მოწოდება

**სახალხო მასწავლებელთა მიმართ.**

ამხანაგებო! ახალი, თავისუფალი სკოლის პრინციპები და თქვენი დელეგატების მიერ შემუშავებული სკოლის მართვა-გამგეობის წესები ქუთ. საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტისა და ოლქის კომისარიატის მიერ უარყოფილ იქმნა.

დელეგატთა კრების მიერ (3-8 სეკტ.) არჩეულის მასწავლებელთა აღმასრულებელი კომიტეტისაგან გადადგმულ ნაბიჯებს ყოველგან გარდაუვალი ზღუდე აღუმართეს და ჩვენს ყოვლად სამართლიან მოთხოვნას თავისი მთავრობითი უფლება და ნებისყოფა დაუპირდაპირეს

ამ-ბო! თქვენი სისხლითა და ოფლით მოპოვებული უფლება ითელება! თქვენ მიერ აღსარებული და დადასტურებული ახალი სკოლის თავისუფლება სასტიკათ ილახება! თქვენი ნაამაგარი და ნაჭირნახულევი სკოლა კვლავ ქაოსში ეფლობა!

თავისუფალი სკოლის თავზე დაამოკლეს მახვილი აღიმართა, მის წიაღში კვლავ გაბატონებას ლამობს ბიუროკრატიული სულის მატარებელი წესები.

ახალ სკოლას საფრთხე მოელის!

გაეცით პასუხი მოძალადეებს!

დე, გაისმოს თქვენი მედგარი და მკვეთრი ხმა ახალი სკოლის დასაცავათ?

დაიცავით აგრეთვე თქვენი უფლებანი!

ფხიზლათ, ახალი სკოლის ერთგული დარაჯნო!..

ჩაუკვირდით მდგომარეობას და ყოველ შემთხვევისათვის მზათ იყავით!

თუ როგორ მოვიქცეთ შემდეგში, ამას აღმასრულებელი კომიტეტი თავის დროზე გაუწყებსთ.

**დას. საქ. სახ. მასწ. დელეგატთა ყრილობის აღმასრულებელი კომიტეტი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში პასუხი გაზ. „ბრძოლის" ერთ ბოსლეველ კორესპონდენტის საყურადღებოთ. ზემოხსენებულ გაზეთის მე-14 ნომერში მოთავსებული იყო ბოსლევიდან „ალიმურას" წერილი, სადაც ეხება ბოსლეველ ტყის მრეწველ ამხანაგობას და მათ შორის ჩვენც ილია მიქაძეს და შენგირ ლეჟავას. წამოყენებულია ბრალდებები, რომლის შინაარსიც ყოველივე სიმართლეს არის მოკლებული. წამკითხველი ამ წერილსა თვით დარწმუნდება, რუ როგორი მძიმე ბრალდებებია წამოყენებული, რომ ეს ყველაფერი მართალი იყოს. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ცნობა ბოსლეველ კორესპონდენციისაგან მოწოდებული სრული სიყალბეა და, რათა საზოგადოებაში არ დარჩეს ეს ყალბი ცნობები გავრცელებული, ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ, გამოვიწვიოთ „ალიმურა" სამედიატორო სასამართლოში, სადაც სრული სიმართლე იქნება გამორკვეული. ვაძლევთ ნებას მედიატორები, როგორც ჩვენის მხრით, ისე თავის მხრით, თვით მან დაასახელოს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან წერილის გამოქვეყნებისა. მედიატორების განჩინებას კი თავის საბუთებით ვაცნობთ ფართე საზოგადოებას და შერცხვეს მაშინ, თუ კი მას სირცხვილის უნარი კიდევ შერჩენია.

**ილია მიქაძე, შენგირ ლეჟავა.**

1917წ. 22 ოქტომბერი.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | დილის | 7 ს. 47 | წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 55 | „ |
| „ | ღამის | 11 ს. 42 | „ |
| „ | დილის | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | დილის | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. | „ |
| | დილის | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისისაკენ | დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | ღამის | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 1 | „ |
| „ | დღით | 1 ს. 40 | „ |
| „ | დილის | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | დილის | 7 ს. 57 | „ |
| | დღით | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | დღით | 4 ს. 40 | „ |

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დღით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ნიკოლოზ საბაევის** ბაღში ბათუმის მახლობლათ ისყიდება საუკეთესო ხარისხის ერთ წლოვანი და სამნახევარ წლოვანი

# მანდარინის ნერგები.

რომელიც ამა შემოდგომაზე დარგული უკანასკნელი მომავალ წლისთვის მისცემს ნაყოფს. აქვე ისყიდება **ლიმონის** და **ფორთოხლის** ნერგებიც. მისამართი: ბათუმში საბაევის მაღაზიაში.

სტამბა „...“ ... გოკიელოვის სახლი, ქუთაისში